



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გზირი

გზირი, გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში ადგილობრივი ადმინისტრაციის დაბალი მოხელე, სოფლის მამასახლისის ხელქვეითი. ევალებოდა ბრძანებისა თუ განკარგულების ადგილზე მიტანა და გამოცხადება, ვისიმე გამოცხადება და სხვ. ტერმ. „გ.“ ადრინდ. ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ მისი იმდროინდელი მნიშვნელობა უცნობია. ივ. ჯავახიშვილის აზრით, შესაძლებელია „გ.“ სიტყვა „გზისაგან“ იყო ნაწარმოები.

ლიტ.: ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, [ტ.] 1, თბ., 1952, გვ. 411-413; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 1, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად, ტ. 6), გვ. 332-333.

ი. სურგულაძე
